სახელოვანთა მეცნიერთა კრება

(1884 წელი, „დროება“)

ჩვენ ისეთი უკუღმართი აღზრდა გვეძლევაო, სთქვა ერთმა საუკეთესო თანამედროვე ინგლისელმა მეცნიერმა, რომ ნამდვილს სარგებლობას იმ გვარადვე ნაკლებად ვაფასებთ, როგორც ველურნი ხალხნი, რომელნიც სულელური მოდის მიხედვით კბილებს იხერხვენო.

საზოგადოება ძალიან იშვიათად აპყრობს თავის ყურადღებას უსაჭიროესს საგნებსა და მოვლენას, რომელთანაც დაკავშირებულია მისი კეთილ-დღეობა. ამავე დროს იგი არც დროს და არც ჯაფას არ ზოგავს იმ გვარი გარეგანი საგნებისთვის, რომელთაც ან სრულიად არავითარი მნიშვნელობა არ აქვთ შვებისა და ლხენისათვის, ან თუ აქვთ, ძალიან ნაკლები და შორეული.

თითოეულმა ჩვენთაგანმა დაწვრილებით იცის, თუ რასა ჰფიქრობს მაჰდი, რას ამბობს, რისი მომქმედია, რა გავლენა აქვს სუდანზედ, რამდენს ჯარს ჰგზავნის აქეთ-იქით ქვეყნების დასაყრობლად, რა ტაქტიკით, რა სახით ომობს, - აგრეთვე დაწვრილებით აქვს აკრეფილი, თუ ლონდონის კონფერენციაზედ რა სთქვეს და რა ხრიკები იხმარეს: გლადსტონმა, გრენვილმა, ვაშინგტონმა, ნიგრამ, მიუნსტერმა და სხვა ბრწყინვალე დიპლომატებმა. მაგრამ ამავე დროს ჩვენს შორის სრული უვიცობა არსებობს მის შესახებ, თუ რა ძვირფასს აზრებსა და ჭეშმარიტებებს ქადაგობენ კოპენჰაგენის კრებაზედ პასტერი, ვირხოვი, ტომაზი და სხვა წარჩინებულნი გვამნი ახლანდელი მეცნიერებისა. რადა? განა პირველს საგნებს უფრო მჭიდრო კავშირი აქვს ჩვენს ცხოვრებასთან ვიდრე უკანასკნელსა? სრულიადაც არა. ჩვენი კეთილდღეობა იოტის ოდენადაც არ შეიცვლება იმის გამო სუდანის ბძანებლად მაჰდი იქნება თუ, უოლსლეი. ლონდონის კონფერენციაზედ ეგვიპტეს მოვალეებს მოუკლებდნენ სარგებელს, თუ ხელუხლებლად დაარჩენდნენ. მაგრამ რასაც ეხლა კოპენჰაგენში ამბობენ, იმაზედ პირდაპირ არის დამოკიდებული იმისთანა უძვირფასი საუნჯე, როგორც ჯანის სიმრთელე, სისაღე ცალკე პირისა და მთელის ერისა.

დიაღ, თითქო ჩვენ დიდს მანძილზედ არა ვართ დაშორებული იმ ველურ ხალხებს, რომელნიც საჭმელს, სადგომს და ტანისამოსს იმის მესამედს ყურადღებას არ აქცევენ, როგორც ტანის ზოლზოლად აჭრელებას სხვა-და-სხვა საღებავითა.

ამ ჟამად კოპენჰაგენში თავი მოყრილი აქვთ მთელი ევროპის დაწინაურებულს ექიმებთა და იმ მეცნიერთა, რომლებიც იკვლევენ საგნებს, კაცის სიმრთელესთან მახლობელი კავშირის მექონეთ. მხოლოდ ზოგიერთი პერიოდული გამოცემა ბეჭდავს ანგარიშს ამ კრებისას და ისიც ძალიან შემოკლებულს. მაგრამ ამ მოკლე ანგარიშებიდგანაც აშკარად სჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გვარს კრებასა და რა ძვირფასი სამსახური შეუძლიან გაუკეთოს კაცობრიობის სიმრთელეს და კეთილდღეობასა.

მშვენებანი ამ კრებისა არიან: ფრანგი პასტერი და ნემენცი ვირხოვი, უკანასკნელს დიდი ყურადღება და ღრმა პატივისცემა დაუმსახურებია კრებისა თავისი ღრმა მეცნიერული განვითარებით და მჭევრმეტყველებით: მაგრამ პირველს - კი უჯობნია თავისი, მის წარმოსადეგს აგებულობას, ლამაზ შეხედულობას, მჭერმეტყველობას, მიმზიდველობას,

თავაზიანობას და ღრმად განვითარებულს გონებას - ერთი სიტყვით სხეულისა და სულის სიმშვენიერეს სრულად მოუხიბლავს მთელი კრება, რომლის ნამდვილ კერპად გამხდარა იგი. პასტერს ჩქარა დაუმტკიცებია, რომ იგი სრულიად ღირსია ამ გვარი პატივისა. მას, სხვათა შორის, წაუკითხნია ცოფზედ, (ანუ ცოფიანობაზე) რეფერატი, რომელსაც უძლიერესი ჩაბეჭდილება მოუხდენია მთელს კრებაზედ. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ცოფით დაშხამულს, წამალი არა აქვს. აგრეთვე კარგად იცის ყველამ, რომ ცოფისგან სიკვდილი ყველა სიკვდილზედ უსაშინლესია. პასტერი ბევრსა ცდილა, რომ როგორმე დაეხსნა კაცობრიობა ამ საშინელი სენისგან და ბოლოს მიუგნია უებარი ღონისძიებისათვის. ცხოველებზედ ბევრის ცდის შემდეგ იმას დაუმტკიცებია, რომ ცოფის აცრა შეიძლება სწორედ ისე, როგორც უცრიან ყვავილსა. ცოფი, ერთი ცხოველიდგან გადასული მეორეზედ, მეორიდგან მესამეზედ, მესამიდგან მეოთხეზედ და სხვებზედ თურმე თან-და-თან სუსტდება და თუ ეს შესუსტებული ცოფი აუცერი საღს ცხოველს, მას დაემართება ცოტაოდენი უქეიფობა, რომლის შემდეგ ცოფი სრულიად აღარ შეეყრება, თუნდაც რავდენჯერმე დაგლეჯილი იქმნას გაცოფიანებული ძაღლისაგან, ან სხვა პირუტყვისგან. პასტერს საგანგებოდ არჩეული კომისიისთვის წარუდგენია პარიჟში ოც-და-სამი ცოფით აცრილი ძაღლი და ამდენივე აუცრელი; კომისიას ქუჩებში დაუჭერია ცოფიანი ძაღლი და ყველა პასტერის ძაღლები დაუგლეჯინებია. დაგლეჯის შემდეგ აცრილ ძაღლებში არც ერთი არ გამხდარა ავად, აუცრელები -კი ყველანი სრულიად დაცოფიანებულან.

მკითხველი ადვილად იგულისხმებს, თუ რაოდენი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ აღმოჩენას და რავდენად უნდა დაეხმაროს იგი კაცის სისაღეს და მის დახსნას ერთის საშინელის სიკვდილისგან.

არა ნაკლები ინტერესი აქვს მეტადრე ჩვენთვის, ქართველებისათვის იტალიელი ექიმის ტომაზის რეფერატსა შესახებ ავის ციების შხამისა. ამ ექიმს დიდხანს ჰქონია პრაქტიკა იტალიის იმ მხარეებში, რომელნიც მდიდარნი არიან ჭაობებით და სადაც ავი თვისების ციება გამუდმებით მძვინვარებს. იმას შეუნიშნავს, რომ ამისთანა ადგილებში ადგილობრივ მცხოვრებთაგანი ყველანი როდი ხდებიან ავადა, - არიან თურმე ბევრნი სახლობანი, რომელთაც ციება სრულიად არ ეკარება. ტომაზი ამ მოვლენას ხსნის ბუნებითი შერჩევით(Естественный отбор). რაში მდგომარეობს ეს შერჩევა? ზოგი ადამიანის სხეული ჯერ ადვილად იტანს ციების შხამსა, მერე ისე შეეჩვევა ხოლმე რომ ეს შხამი მასზე სრულიად აღარ მოქმედობს. ამ გვარი ადამიანები დიდხანს სცოცხლობენ ჭაობიან ადგილებში და თავისს სიმაგრეს გადასცმენ ხოლმე ჩამომავლობას, რომელსაც ციების შხამი სრულიად ვერ ეკარება. ამათი რიცხვი ადგილობრივ თანდათან მრავლდება. სხვებისა-კი მცირდება, მეტადრე მათი, რომელნიც ახლად არიან ჩამოსახლებულნი აქა.

ესევე აზრი წარმოვთქვით ჩვენ დედუქტიური მოსაზრების ძალით ექვსი წლის წინად „თბილისის მოამბეში“, შესახებ მეგრელებისა, რომელთაც ჩვენ ვსთვლიდით საუკეთესო კოლონიზატორებად აფხაზეთისათვის, სხვათა შორის იმიტომ, რომ ჭაობიან და ციებ-ცხელებიან ჰაერს მათი სხეული შეჩვეულია და ესენი ბუნებითი შერჩევის კანონს მრავალი საუკუნის განმავლობაში მოუმზადებია ჭაობის შხამის ადვილად ატანისათვის და დაძლევისათვის-თქო. ჩვენმა მოპირდაპირემ ბ. ვედენსკიმ, რომელიც „კავკაზში“

ეწინააღმდეგებოდა მეგრელების დასახლებას აფხაზეთში, ჩვენი აზრი უცნაურ რამედ ჩათვალა და ამტკიცებდა, რომ ხამი ახალი ხალხი, რუსები, მაგალითადაო, რომლის სხეული ჭაობის შხამით მისუსტებული არ არის, უფრო ადვილად აიტანს ციებ-ცხელებიან ჰაერსაო, ვიდრე მეგრელნი, დაშხამულნი მავნე ჰაერის ხანგრძლივი მოქმედებითაო. მაშინ რომ ტომაზის აზრი წარმოთქმული ყოფილიყო, ჩვენს მოპირდაპირეს პირში ბურთს ჩავუდებით და ჩავაჩუმებდით; მაგრამ ჩვენ იძულებულნი ვიყავით მხოლოდ ჩვენ მოსაზრებაზედ დავფუძნებულიყავით და ამას-კი ბ-ნ. ვედენსკისათვის, რასაკვირველია ავტორიტეტის ძალა არა ჰქონდა. მიუხედველად ამისა საქმე მაინც მოვიგეთ.

შერჩევით კანონის მოქმედება არ არის თურმე ერთადერთი მიზეზი, რომელიც ეწინააღმდეგება ციების შხამის მოქმედებას ადამიანის სხეულზედ. ჭაობიან ადგილებში მცხოვრებლებს ჰსცოდნიათ თურმე უებარი წამალი, რომელიც ბევრით სჯობნებია ქინა ქინასაც და დარიშხანასაც. ექიმების უძლიერესი წამალი ქინა-ქინა, ტომაზის სიტყვით, თუმცა თავდაპირველად ძლიერად მოქმედობს ციებაზედ, მაგრამ შემდგომში მისი გავლენა მეტად სუსტდება, და ამას გარდა თვითონ ქინა-ქინაც მავნებელია სხეულისათვის, მეტადრე დიდხანს თუ ხმარობენო მას. დარიშხანა თუმცა ქინა-ქინაზედ უფრო კარგად მოქმედობს ქრონიკული ციების წინააღდეგ, მაგრამ სხვა მხრივ, ბევრს ექიმებს იგი მავნებლად მიაჩნიათ და ხალხი ხომ ავის თვალით უცქერისო. ციებ-ცხელებიანი ადგილების მცხოვრებნი იტალიაში ამ სენის წინააღმდეგ თურმე ხმარობენ ლიმონის გამოხარშულს წვენსა, რომელიც ამ გვარად მზადდება: აიღებენ ლიმონსა, დასჭრიან, ისე მთელსა ქერქიან-მარცვლებიანად წვრილ-წვრილს ნაწილებად, ჩაჰყრიან კოჭობში, დაასხამენ სამს სტაქანს წყალსა და იქამდის ადუღებენ, ვიდრე ერთი სტაქანი წვენი არ დადგება. შემდეგ ანელებენ ამ წვენსა და სმენ. ტომაზის მიუქცევია ყურადღება ამ წამლისათვის, უცდია ბევრს ავი ციებით ავადმყოფს ადამიანზედ და დარწმუნებულა, რომ ეს წვენი ძლიერი და მშვენიერი წამალია. თავის რეფერატში იგი ძლიერ აქებდა ამ წამალსა და ურჩევდა ექიმებს მისი ხმარება უთუოდ შემოეღოთ. მართალია, ეს წამალი მეცნიერული წყაროდგან არ მომდინარეობსო, სთქვა მან ბოლოს, მაგრამ რადგანაც იგი თითქმის უებარი ღონისძიებაა, ამიტომ ფარმაკოლოგიაში ერთი უპირველესი ადგილი უნდა დაიჭიროსო.

ჩვენ ძლიერ მდიდარნი ვართ ჭაობიანი ადგილებით და ავი ციებ-ცხელებით. ამიტომ ტომაზის აზრი დიდს შეღავათს მისცემს ჩვენს ქვეყანას, თუ ექიმები და საზოგადოება ჯეროვანი ყურადღებით მოეპყრობიან მას. მეტადრე ძლიერ უჭირს ამისთანა ადვილი და იაფი წამალი დასავლეთს საქართველოს, სადაც შავი ზღვის პირად ფრიად ავი ციება გამუდმებული სენია.

ჩვენ სრულიადაც არ გვიკვირს , რომ ციების უებარ წამალსაც ექიმები ხალხისგან სწავლობენ. ეს არც პირველი მაგალითია და არც მეორე. რაც მედიცინაში უებარი წამალია, მომეტებული ნაწილი ექიმებს ხალხისაგან უსესხიათ. ქინაქინა, უძლიერესი წამალი, ამერიკის ველურმა ხალხმა ასწავლა მათ, დარიშხანის ხმარება შემოიღეს მას უკან, როცა შვეიცარიის გლეხებმა დაარწმუნეს მაგალითით, რომ იგი ადამიანის სხეულზედ ძალიან კარგად მოქმედობს; კუმისი კალმიკებმა შესძღვნეს ფარმაკოლოგიას, კეფირი კავკასიის მთიელებმა და სხვანი. ახლა ლიმონის წვენიც მათ ასწავლა იტალიელმა გლეხობამ. საოცარი აქ ეს არის, რომ წინააღმდეგ ამდენი მაგალითებისა, ექიმები აქამდის მაღლიდგან უყურებენ ხალხურს წამლობასა,

შარლატანობას ეძახიან მას, არ სურთ ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ და იჩენენ საოცარს ჯიუტობასა. ქირურგია დაწინაურებული ნაწილია მედიცინისა, მაგრამ თურმანიძემ მრავალი მაგალითებით დაამტკიცა, რომ მისი ქირურგია, მთლად ხალხის გამოცდილებაზედ დაფუძნებული, ადვილად არჩენდა იმისთანა ჭრილობათა, რომელნიც ჩვენს მეცნიერს ექიმებს მომაკვდავ, უკურნებელ სენად მიაჩნდათ. მაგრამ რა გამოვიდა? ექიმები მაინც ორსავე თვალს იხუჭავდნენ და თურმანიძეს შარლატანს ეძახდნენ, მაშინაც-კი, როცა თავის თავზეც, გამოსცდიდნენ ხოლმე მისი წამლობის უებრობას. ექიმებს ამ შემთხვევაში ისეთივე შეცდომა მოსდით, როგორშიაც იყვნენ ყველა მეცნიერნი, რომელნიც მრავალი საუკუნის განმავლობაში უარს ჰყოფდნენ, შარლატანობას ეძახდნენ, სააარაკო ამბებად სთვლიდნენ იმ საოცარ მოვლენათა, რომელთაც მეცნიერებამ ჩვენს დროში *ჰიპნოტიზმი* უწოდა და რომელთაც მთელი კაცობრიობა ამ ჟამად განცვიფრებაში მოჰყავთ.

რაზედ არის დაფუძნებული მეციერული ექიმობა? ანალიზზედ და გამოცდილებაზედ. ხალხურს ექიმობას აკლია ანალიზი, მაგრამ მის მაგივრობას ჩადიოდა და ჩადის ინსტიქტი, რომელიც ხშირად ანალიზზედ უფრო უტყუვრად გრძნობს საგანთა ბუნებას. დავასახელებთ მრავალთაგან ერთს მაგალითს: ჩვენი ხალხი ჭლექს სთვლიდა გადამდებ სენად. ექიმებს ეს სიცილად არ ჰყოფნიდათ და მტკნარს უმეცრებად რაცხდნენ. ახლა-კი ყველა ექიმი დარწმუნებულია, რომ ჭლექი შესაყარი, გადამდები დაავადებაა. მართალია ექიმთა გამოცდილება უფრო მოკლებულია შემთხვევითს ელემენტებსა, უფრო მაღლა უნდა იდგეს შინაგანი თვისებით; მაგრამ, სამაგიეროდ, ხალხის გამოცდილება უფრო საყოველთაოა, ტრადიციული, უფრო ფართო, და ხანგრძლივობით მაღლა სდგას ექიმების გამოცდილებაზედ. მართალია, ხალხში ხშირად ჩნდებიან პირნი, რომელთაც სრულიად არა აქვთ შესწავლილი ხალხური ექიმობა, ალალ-ბედზე სწამლობენ ავადმყოფთა, ბევრს ვნებას აყენებენ მათ და ამით უტეხენ სახელს ხალხურს წამლებსა; მაგრამ ეს ფაქტი ამტკიცებს, მხოლოდ ამ პირთა უსვინდისობას და შარლატანობას, სხვას არაფერსა. ნასწავლი ექიმების დასშიაც ხშრად მოქმედობენ უვიცნი პირნი, რომლებიც წამლებს უნიშნავენ ავადმყოფებს ალალ-ბედზედ და ბევრს უდროვოდ ისტუმრებენ საიქიოს; მაგრამ ეს ფაქტი არავის თვალში არ ამტკიცებს მეცნიერული მედიცინის უვარგისობასა.

ჩვენი პასუხისმგებლობა ის კი არ არის, რომ სამეცნიერო მედიცინა დავამციროთ და სახალხო წამლობას მივცეთ უპირატესობა; არა, ჩვენ გვსურს ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ საზოგადოებისა და მეტადრე ახალგაზრდა ექიმებისა სახალხო წამლობაზედ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ხალხური წამლების შესწავლა, მათი მოქმედების გამოძიება, სახალხო კარაბადინების გაჩხრეკვა სვინდისიანად და გულ-დადებით არა ერთი სასარგებლო, უებარი წამლით გაამდიდრებდა ფარმაკოლოგიას, არა ერთს მომაკვდინებელს სენს გადააქცევდა მოსარჩენ სენად.

<u>ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:</u> **ია მანიჟაშვილმა**
თბილისი, 4 აპრილი, 2020 წელი

#დარჩისახლში.